ქ. წალენჯიხა 21 თებერვალი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და სოციალურ საკითხთა კომისიების ერთობლივი
სხდომის ოქმი

2022 წლის 21 თებერვალს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და სოციალურ საკითხთა კომისიების ერთობლივი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სოციალურ საკითხთა კომისიის უხუცესი წევრი გონერ კვარაცხელია, ესწრებოდნენ ორივე კომისიის შემდეგი წევრები: მანანა ჭანია, დარეჯან დადიანი, ნანა ლემონჯავა, რაისა ჩანგელია, დათო მესხია, ნანა ქობალია, ირაკლი სალია, ომარ ქარდავა, ბაჩანა ქანთარია, დავით ბელქანია; ასევე ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თემურ ქარდავა, რომან კვარაცხელია, გელა აბულაძე, მამუკა მიქავა; მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე-ავთანდილ გაბელია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-გიორგი დარსალია, საკრებულოს აპატის უფროსი იზოლდა მოლაშხია, საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი მაია ციმინტია; მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამარ ბელქანია, მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურების, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელი მერაბ შონია, რუსუდან კვარაცხელია.

დაწყების დრო: 11:^{00}-სთ.
დასრულების დრო: 13:^{30}-სთ

დღის წესრიგი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ.
   პროექტის წარმომდგენი: **მერაბ შონია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურების, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელი

2. სხვადასხვა.

სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურების, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელმა მერაბ შონიამ. მან მუხლობრივად გააცნო კომისიის წევრებს პროგრამაში შესული ცვლილებები.

საკრებულოს წევრებმა წამოაყენეს შემდეგი შენიშვნები და წინადადებები:

საკრებულოს წევრმა გონერ კვარაცხელიამ წამოაყენა წინადადება, რომ სოციალურ პაკეტში გასათვალისწინებელია ისეთი მძიმე დაავადებები, რომელსაც სახელმწიფო არ აფინანსებს (მაგ: ბარძაყის პროთეზირება); აქვე დათო მესხიამ წამოაყენა წინადადება თვალის ბადურის ჩამოშლის დაფინანსებაზე, ამ დაავადებას სჭირდება ძვირადღირებული და მრავალჯერადი მკურნალობა. აქვე აღნიშნა დარეჯან დადიანმა, რომ რამდენიმე წელია საკითხს აყენებს საკრებულოს სხდომებზე „უსინათლოთათვის მხარდაჭერის პროგრამის“ დაფინანსებაზე, მაგრამ ჯერაც არ არის გათვალისწინებული. მანანა ჭანიამ წამოაყენა წინადადება-„მუდმივად ან/და სისტემატურად მკურნალობის საჭიროების მქონე იშვიათი დაავადებით შეპყრობილ პირთა ფინანსური მხარდაჭერის“ პროგრამაში ნაწლავური დაავადებით, ცელიაკით დაავადებულ პირთა გათვალისწინების აუცილებლობაზე. ამ წინადადებებთან დაკავშირებით აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსმა მაია ციმინტიამ აღნიშნა, რომ გარკვეული კრიტერიუმების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მიერ უნდა შემუშავდეს და დაფინანსდეს ისეთი პროგრამები, რომელიც არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, მაგრამ რპიორიტეტულია ადგილობრივი მოსახლეობისთვის. საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალიამ მიიჩნია, რომ ამ საკითხზე მუშაობა უნდა დაევალოს მერის რწმუნებულებს, უბნის ექიმებს, კომისიებს რათა ჩატარდეს მონიტორინგი და გამოიკვეთოს დასაფინანსებლად აუცილებელი ჯგუფები, მათი რაოდენობა და კრიტერიუმები, რათა მოხდეს პროგრამების სრულფასოვნად ჩამოყალიბება. მერის მოადგილე თამარ ბელქანიამ განაცხადა, რომ შენიშვნები ყურადსაღებია, მერია უახლოეს პერიოდში შეისწავლის და იმუშავებს მათ გადაწყვეტაზე; ასევე ისაუბრა აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერის პროგრამაზე, რომ იაპონიის საელჩოს მხარდაჭერით თუ ბენეფიციართა რაოდენობა იქნება 100-ზე მეტი, შესაძლებელია წალენჯიხის მუნიციპალიტეტში გაიხსნას აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერის ცენტრი, ამ პროცესში შესაძლებელია ჩაერთოს მეზობელ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ სპექტრის მქონე ბენეფიციარები.

საკრებულოს წევრმა მანანა ჭანიამ წამოაყენა წინადადება სტაციონარული მკურნალობის შემდგომ ბინაზე კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების ყოველთვიური ფინანსური დახმარების 200 ლარამდე გაზრდის შესახებ. საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ ამ პროგრამის ბენეფიციარებისთვის ერთი წლის დაფინანსების თანხის 6 თვეზე განაწილების იდეა წამოაყენა და შემდგომ შესაბამისი ცვლილებების განხორციელება ბიუჯეტში და პროგრამაში. ამ წინადადებას ერთობლივად დაეთანხმა კომისიების ყველა წევრი და გადაწყვიტეს ნორმატიული აქტის ამ ცვლილებით განხილვა საკრებულოს სხდომაზე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებს, დაემატა ახალი, სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ისეთ სტუდენტებს რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა 70 000-ზე მეტია და ტოლია ან ნაკლებია 120 000-ზე, რომლებიც წარმოადგენენ დოკუმენტს აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლიდან სწავლის დაფინანსების აუცილებლობაზე. თამარ ბელქანიამ აღნიშნა რომ ეს პროგრამა არის სატესტო და ამ პროგრამის გამართლების შემთხვევაში იქნება თანხების მოძიება და მერიის მიერ ამ პროგრამით მეტად დაინტერესება.

საკრებულოს წევრებმა სხდომის თავმჯდომარის მიერ წამოყენებული, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი მიიჩნიეს საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად.

ამით საკრებულოს კომისიების ერთობლივმა სხდომამ მუშაობა დაასრულა. სხდომა დასრულდა 13^{30} სთ-ზე.

სოციალურ საკითხთა კომისიის უხუცესი წევრი /გონერ კვარაცხელია/

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე /ზაჩანა ქანთარია/